შ. ამისულაშვილი

დადგა ზეიმი

✦

ვუძღვნი მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს

✦

დაფდაფების და
საყვირების ამტყდარ ხმაურში
თქვენ ძმობის ნიშნად
ყველა დროშა მზისკენ აუშვით.

ცა გასპეტაკდა
იაგუნდის დარბაზებივით
და რაინდული სილამაზის
დადგა ზეიმი.

ბეჭდაუდებელ,
ქედმოუხრელ ახალგაზრდების
მიისწრაფიან ტრიბუნისკენ
მწყობრი რაზმები.

ნაწრთობ მკლავებში
დევკაცური ძალა რომ ერჩით,
ჯილაგი მოსდგამთ
სულისა და აზრის ღონეშიც.

სალამი სარმის,
დაშნისა და ჩოგნის ოსტატებს!
თქვენ პირველობას
ჯადოქარიც ვერ გამოგტაცებთ.

სალამი შუბის, ოროსა და
ბადროს მტყორცნელებს,
პირველობაზე მსოფლიოში
მათ დიდ ოცნებებს.

სალამი ღერძის, ტაიჭის და
ორძელის გმირებს,
მათი სახელი რომ გადაწვდეს
ხმელეთის დირეს!

სალამი ზეცის, მყინვარების
და ზღვის რაინდებს...
ხვალ კიდევ რამდენ რაინდობის
გზაკვალს გაიგნებთ!

სალამი ყველა ცხენოსანს და
ყველა მორბენალს,
ველად გაჭრილნი —
შორიდან რომ ჩანხართ ორბებად.

სალამი ბურთის გამტაცებელს
უმხურვალესი,
მოულოდნელი დარტყმებით რომ
ახვევს ბადეში.

სალამი ყველა კალათბურთელს,
ყველა სნაიპერს,
ამდენ სიყვარულს
კაცის გული ველარც დაიტევს.

დიდება იყოს ბოლო სიტყვა
ჩემი ლექსისა,
რომ დღეს ნამდვილი აღტაცება
თქვენგან გველირსა!..

★

ამხანაგო ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, მოგილოცავთ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს!

★

საქართველოს ნორჩი სპორტსმენები ახალი მიღწევებით შეხვდნენ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. მათ მოიპოვეს დიდი გამარჯვება — პირველი ადგილი დაიკავეს მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 101 (1271) | კვირა, 24 აგვისტო, 1958 წ. | გამოცემის მე-15 წელი. | ფასი 30 კაპ.

ჩვენი ზეიმი და ახალი ამოცანები

✦

გ. ვ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

✦

დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანების ტრადიციულ ზეიმს, ახალგაზრდობის, სიჯანსაღისა და სილამაზის ზეიმს—ფიზკულტურელის დღეს. ჩვენი ხალხი დღეს ახდენს საბჭოთა ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმიის ძალთა, მისი მიღწევებისა და წარმატებათა შემოწმებას. სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე, დარბაზებში, საცურაო აუზებში მილიონობით ჭაბუკი და გოგონა აჩვენებს თავის ოსტატობას, თავის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი.

უაღრესად დიდია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობა მშრომელთა ჯანმრთელობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის მიმართ. ეს ზრუნვა გამოიხატება იმაში, რომ სულ უფრო იზრდება სახელმწიფო ასიგნობანი ფიზკულტურასა და სპორტზე, შექმნილია სასწავლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, სადაც წარმოებს მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა. უმაგალითო მასშტაბი მიიღო სპორტულ ნაგებობათა მშენებლობამ.

1957 წელი დიდი მიღწევებით აღინიშნა ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა დარგში. ეს იყო მსოფლიო ფესტივალის, III საერთაშორისო მეგობრული თამაშების, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკათა სპარტაკიადისა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წელი. მილიონზე მეტმა საქართველოს ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებაში. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ფიზკულტურული კოლექტივი და ფიზკულტურელთა რაოდენობამ რესპუბლიკაში მიაღწია 416 ათასს.

შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების დარგში. 1957 წელს რესპუბლიკაში მომზადდა 85 სპორტის ოსტატი და 800 პირველთანრიგოსანი. ახლა რესპუბლიკაში ითვლება 70-ზე მეტი სპორტის დამსახურებული ოსტატი, 470 ოსტატი და 2.800-ზე მეტი პირველთანრიგოსანი.

ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკათა ტრადიციულ სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ პირველი ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ჩვენმა გუნდმა თავისუფალ ჭიდაობაში. ბრწყინვალე წარმატებები ჰქონდათ ჩვენი რესპუბლიკის ალპინისტებს, რომლებმაც მოახდინეს დარვაზის ქედის სასიმაღლო ტრავერსი პამირში.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა სპორტსმენებმა საკავშირო სპარტაკიადაზე დაიკავეს მესამე ადგილი, ხოლო წელს სულ ახლახან დამთავრებულ შეჯიბრებაში მიაღწიეს ბრწყინვალე შედეგს ამავე სპარტაკიადაში და დაიკავეს საერთო გუნდური პირველი ადგილი. ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჩვენ გვყავს შესანიშნავი ტალანტები, შესანიშნავი რეზერვი.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელებმა ძირეული კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშებაში 20000 გუნდს შორის შეძლეს თასის მოპოვება. საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე „ნორჩი დინამოელისა“ და „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელებმა.

გ. კარტოზიამ და რ. აბაშიძემ კლასიკურ ჭიდაობაში და ვ. ბალავაძემ თავისუფალ ჭიდაობაში მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის მაღალი წოდება. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ გ. სხირტლაძე, ზ. მჭედლიშვილი, ვ. არსენიანი (თავისუფალი ჭიდაობა), ბ. ნიკიტინი და რ. არკადიევა (ცურვა), რ. ცირეკიძე (ფარიკაობა), დ. ცაგარეიშვილი და ბ. ანტონოვი (სასტენდო სროლა), ტ. ელერდაშვილი და ლ. კაციაშვილი (ჭიდაობა სამბო).

დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა მოჭადრაკემ ბ. გურგენიძემ, მძლეოსნებმა რ. შავლაყაძემ და ლ. იევლევამ, ჩოგბურთელმა ი. რიაზანოვამ, ტანმოვარჯიშეებმა მ. ნინოშვილმა და გ. ფრომოვმა და ბევრმა სხვამ, საქართველოს სპორტსმენთა მიერ დამყარებულ იქნა 136 ახალი რესპუბლიკური რეკორდი. მათ შორის 7 საკავშირო და 2 ევროპისა და მსოფლიო რეკორდია.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებისა და მწვრთნელების მომზადების მხრივ. 22 კაცს მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მაღალი წოდება. მათ შორის არიან მ. თიკანაძე, მ. კეკელიძე, ვ. ქარსელაძე, ლ. ოოკიმიდი, ვ. კუხიანიძე და სხვანი. სპეციალისტების გარდა ფიზკულტურული მუშაობის კეთილშობილურ დარგს ემსახურებიან მასობრივი ფიზკულტურის საზოგადოებრივი ორგანიზატორები. ეს მძლავრი ძალაა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ჩვენი ფიზკულტურელების მრავალრიცხოვანი არმია.

ჩვენ გვყავს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები. მათ შორის გ. ჩიკვაიძე, კ. ზაუტაშვილი, ლ. ძეკონსკი, ნ. ჩხატარაშვილი, ვ. ჯაფარიძე, აგრეთვე საკავშირო კატეგორიის 86 და რესპუბლიკური კატეგორიის 327 მსაჯი.

ფიზკულტურული მოძრაობის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული სპორტული სექციების, მწვრთნელთა საბჭოებისა და მსაჯთა კოლეგიების ნაყოფიერ მუშაობაზე. ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობას წარმატებით უთავსებენ სპორტში მუშაობას. მათ რიცხვში არიან რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარეები: თ. ფურცელაძე (კრივი), ა. ჭირაქაძე (კალათბურთი), გ. ჯინჭარაძე (ფეხბურთი), ნ. კეცხოველი (ალპინიზმი), გ. ჯაბუა (ჭადრაკი), ვ. კანდელაკი (ჩოგბურთი) და სხვა მრავალი.

ფიზკულტურისა და სპორტის წარმატებები დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარვმართავთ მუშაობას მოზარდთა შორის. ამჟამად საქართველოში განათლების სამინისტროს სისტემაში არსებობს 52 სპორტული სკოლა, სადაც ახალგაზრდა სპორტსმენები იმაღლებენ თავიანთ ოსტატობას, ამ სკოლებში აღიზარდა 44 სპორტის ოსტატი და 142 პირველთანრიგოსანი. თბილისის 35-ე საშუალო სკოლის ბაზაზე შეიქმნა სკოლა-ინტერნატი სპორტული განხრით, სადაც წარმოებს მუშაობა ფეხბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვისა და ველოსპორტის განხრით.

ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ მცირე სიმძლავრის სპორტსაზოგადოებები ვერ ამართლებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს. ამიტომ შეიქმნა ტერიტორიული სპორტული საზოგადოება „განთიადი“, რომელიც აერთიანებს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკებს, ხოლო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაძლიერებისათვის ჩამოყალიბდა სტუდენტთა საზოგადოება „ბურევესტნიკი“.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა განმტკიცება, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს საქმის შემდგომ წინსვლას.

ცნობილია, რომ ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს ფიზიკური კულტურის კოლექტივი. სწორედ მასში იმყოფება ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ფიზკულტურისა და სპორტის პროგრესს ჩვენს ქვეყანაში. უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ფიზკულტურული კოლექტივების ცხოვრებაში დიდი ცვლილებანი მოხდა: წესრიგში მოდის სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა სპორტულ სექციებში, სულ უფრო ფართოვდება კოლექტივის მატერიალური და ტექნიკური ბაზა. ათეულ ათასობით მუშა და მოსამსახურე მონაწილეობს ტანვარჯიშულ დაჟურვასა და ფიზკულტურულ პაუზებში, დიდი გავრცელება ჰპოვა მასობრივმა ტურისტულმა ლაშქრობებმა.

რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების გამოცდილებამ (კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხანა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა და სხვ.) ცხადყო, რომ მათ შეუძლიათ იქცნენ მაღალი კვალიფიკაციის სპორტული კადრების აღზრდის სამჭედლოდ.

(დასასრული მე-2 გვ.).

ბარაქაღა გოგონებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ სუდარიკოვი

ჯიდევ ერთი პირველი ადგილი მოიპოვა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა გოგონათა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოსკოველმა გ. ფილიპმა. ამჯერად 400 მეტრზე მისი შედეგი 5.35,3 მიუწვდომელი აღმოჩნდა სხვა მონაწილეთათვის. ამავე სახეობაში ჭაბუკთა შორის ა. სუდარიკოვმა 1,6 წამით უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა ვ. სემჩენკომ — 5.05,1 და ჩემპიონობაც გაინაღდა.

შეხვედრების უკანასკნელ დღეს კიდევ ხუთი ჩემპიონი გამოვლინდა. გოგონათა შეჯიბრება 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში დამთავრდა ლენინგრადელ ლ. ვიქტოროვას გამარჯვებით — 1.16,0. ეს შედეგი სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება. ბატერფლაის სტილით ამავე დისტანციაზე ჩემპიონი გახდა მოსკოველი ე. ანტონოვა —1.24,2.

ჭაბუკთა 100-მეტრიან დისტანციაზე ზურგზე ცურვაში ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალში გავიდა ვ. ხოტნიკოვი, სადაც მან მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ლენინგრადელი ვ. ნეფედოვი. მოსკოველმა ვ. კუზმინმა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ფინალური შეჯიბრება მოიგო აშკარა უპირატესობით — 2.35,4.

პირველობის მეორე დღეს მოეწყო წინასწარი გაცურვები 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით. მაშინ ყველაზე კარგი დრო ჰქონდა ა. სუდარიკოვს (საქართველო). ფინალში შევიდნენ აგრეთვე ი. ულელუნოვი და ვ. შუბობკო (ორივე რსფსრ), რ. კივისტიკი („შრომითი რეზერვები") და სხვები. მათი ფინალი ჩატარდა უკანასკნელ დღეს.

ა. სუდარიკოვმა სწორად გაანაწილა ძალები, თანდათან უკან ჩამოიტოვა კონკურენტები, ხოლო ნახევარი დისტანციის შემდეგ საკმაოდ წინ გავიდა და ყველაზე უკეთეს დროში — 20.42,0 დაამთავრა შეჯიბრება, რითაც 8,7 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილის მფლობელმა რ. კივისტიკმა.

გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს, ხოლო გოგონებში — მოსკოვის გუნდებმა.

უკანასკნელი სტარტები

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ველოსიპედისტთა შეჯიბრების მეორე დღე. გოგონები პირველობისათვის იბრძოდნენ 20-კილომეტრიან, ჭაბუკები კი 75-კილომეტრიან დისტანციაზე.

ბრძოლა სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისათვის („შუალედებიანი სტარტით) თავიდანვე მოლდაველ გ. გერჩიკს, თბილისელ გ. ატლანოვასა და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელს ვ. ზინიაკოვას შორის გაიმართა. დისტანციის პირველი ნახევარი მეტად სწრაფ ტემპში განვლო მოლდაველმა სპორტსმენმა. გასული სპარტაკიადის ჩემპიონმა გ. ატლანოვამ მეორე 10 კილომეტრზე სცადა გასხვავების შემცირება, მაგრამ ამაოდ. გერჩიკმა დაამთავრა რბოლა შესანიშნავ დროში — 30.47,8. ატლანოვას წილად ხვდა მეორე ადგილი — 32.04,1.

მძაფრი ბრძოლა გაიმართა საგზატკეცილო რბოლაში ჭაბუკებს შორის. 75-კილომეტრიანი დისტანცია მაღალ ტემპში გაიარა ველოსიპედისტთა უმრავლესობამ. განსაკუთრებით დაძაბული იყო ფინიში, სადაც სამ სპორტსმენს გამარჯვების ერთნაირი შანსები ჰქონდათ. ესენი იყვნენ: ვ. კუდინოვი („შრომითი რეზერვები"), ა. მოროზოვი (აზერბაიჯანი) და ნ. ლებედევი (ლენინგრადი). ველოსიპედისტებმა რბოლა ასეთივე თანმიმდევრობით დაამთავრეს: გამარჯვებულის შედეგია—1:58.03,0.

გუნდურ ჩათვლაში ამ დღეს პირველი იყო ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივი. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს რსფსრ-სა და უზბეკეთის წარმომადგენლებმა. საქართველოს გუნდს წილად ხვდა მე-8 ადგილი.

მეხუთედან პირველ ადგილზე

დამთავრდა კალათბურთელთა „მარათონული" ტურნირი. დაცარიელდა კიროვის სახელობის პარკის სტადიონის ტრიბუნები, უჩვეულო სიჩუმე და სიცარიელე დამკვიდრდა მოედნებზე. და მაინც, სტადიონის ყოველ კუთხეში, ყოველ კუნჭულში ჯერ კიდევ ისმის მძაფრი სპორტული ბრძოლების ეხო. კალათბურთელებმა ყველაზე ადრე გახსნეს სპარტაკიადა და ყველაზე გვიან დახურეს იგი, ამიტომ მათ სხვებზე მეტ ხანს ჰყავდათ „ჰიპნოზის" ქვეშ მაყურებლები.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ შეხვედრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია. გოგონებმა ტურნირი ფაქტიურად 18 აგვისტოს დაამთავრეს, როცა ლატვიელებმა დაამარცხეს საქართველოს გუნდი და გაინაღდეს პირველი ადგილი. ჭაბუკები ფინიშთან ორი დღის შემდეგ მივიდნენ. საქართველოს კალათბურთელებმა მოუგეს მანამდე დაუმარცხებელ უკრაინას და ერთგვარი რევანში აიღეს გოგონების წაგებისათვის.

გასულ სპარტაკიადაზე საქართველოს ჭაბუკები „დაიჩაგრნენ": მათ ერთი დამარცხებით (მოსკოვის გუნდთან) მეხუთე ადგილი დაიკავეს, მაშინ, როცა მეოთხე ადგილზე გამოსულ ლენინგრადს ჰქონდა 3 წაგება, მესამე პრიზიორს, ესტონეთს — 2 წაგება, და მოსკოვსა და ლიტვას (პირველი და მეორე ადგილები) იმდენი, რამდენიც ჩვენს გუნდს. გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა წელს მოსკოვის ჭაბუკთა გუნდი. მან ორი წაგებით დაიკავა მეცხრე ადგილი.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებმა ძნელი გზა განვლეს პირველი ადგილისათვის ბრძოლაში. მაგრამ სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება, რომელიც მათ მოიპოვეს, დაკარგული ენერგიის, ძალებისა და განცდების დამსახურებული და საამაყო საზღაურია.

ჭაბუკებს შორის პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: საქართველო, უკრაინა, ესტონეთი. გოგონებს შორის — ლატვია, საქართველო, „შრ. რეზერვები".

ორი რეკორდი

ძლეოსანთა შეჯიბრების მეხუთე დღეს, როცა ლ. იევლევამ ხუთჭიდის პროგრამით გათვალისწინებული თარჯრბენი 80 მეტრზე მაღალი შედეგით მოიგო, ეჭვი აღარავის ეპარებოდა მის გამარჯვებაში მძლეოსნობის ამ სახეობაში, რადგან უკანასკნელი, მეხუთე სახეობა სიგრძეზე ხტომა იყო და აქ ხომ ლ. იევლევას ტოლი არ ჰყავდა. ამას გარდა სიგრძეზე ხტომაში მაღალი შედეგის ჩვენების შემდეგ მას შეეძლო გაეუმჯობესებინა საკავშირო რეკორდი. პირველობის პრეტენდენტების მოსკოველ ა. მაიუჩაიას და ლენინგრადელ ე. რასოხას ყველა ცდა, ეჩვენებინათ უკეთესი შედეგი ვიდრე საქართველოს წარმომადგენელს ჰქონდა (5,84), უშედეგოდ დამთავრდა. იევლევამ ხუთჭიდში მოიპოვა ჩემპიონობა და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი გოგონებისათვის. გამარჯვებულის შედეგია 4.269 ქულა. ლ. იევლევას არც ყაზახი ჭაბუკი ს. ისამბაევი ჩამორჩა, რომელმაც წინა დღით 800 მეტრზე უკრაინელ ვ. ფილიპჩუკის მიერ დამყარებული საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. ახალმა რეკორდსმენმა აჩვენა 1.56,6.

ერთ დღეს 2 სარეკორდო შედეგის ჩვენება შეძლო ი. დიაჩკოვმა (საქართველო) 200 მ თარჯრბენში. წინასწარი გარბენი დიდი უპირატესობით მოიგო, მაგრამ სარეკორდო დრო ძლიერი ზურგის ქარის გამო მსაჯთა კოლეგიამ არ დაამტკიცა.

ფინალურ გარბენში პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა უკრაინელების ა. დეგტიარს, ა. მარინჩკინსა და ი. დიაჩკოვს შორის. დისტანციის მეორე ნახევარზე ა. დეგტიარმა შეძლო წამოწეოდა რბენის ლიდერს ი. დიაჩკოვს, მაგრამ უკანასკნელ მეტრებზე საქართველოს გუნდის წევრმა მძაფრი ბიძგით უკან ჩამოიტოვა მეტოქე და იგი ფინიშთან პირველი იყო. გამარჯვებულმა მანძილი დაფარა 24,8 წამში, რაც ახალი საკავშირო რეკორდია.

დიდი ინტერესი გამოიწვია ესტაფეტებმა 4×100 მეტრზე. გოგონებში პირველობისათვის ბრძოლა უმთავრესად მოსკოვისა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის გაიმართა. ფინიშთან პირველი იყო დედაქალაქის გუნდი — 48,2. საქართველოს გუნდის შედეგია 49,0 წამი.

თუ გოგონების ესტაფეტა ადვილად მოიგო მოსკოვის კოლექტივმა, ამას ვერ ვიტყვით ჭაბუკებზე, სადაც პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ საქართველოს, ბელორუსიისა და მოსკოვის გუნდები. პირველ ორ ეტაპზე საქართველოს გუნდი ოდნავ შეფერხდა ესტაფეტის გადაცემის დროს, მაგრამ როცა იგი მესამე ეტაპის მონაწილე ა. ბედუკაძემ მიიღო, ჩვენი რესპუბლიკის გუნდი წინ გავიდა, იგი პირველი იყო ფინიშამდე, მაგრამ აქ ბელორუსელმა სოლნცევმა გადაუსწრო საქართველოს გუნდის წარმომადგენელს გოლდს და ესტაფეტა პირველმა მიიტანა ფინიშთან. ბელორუსიის გუნდის დროა 43,0 წამი, საქართველოს კოლექტივისა — 43,1 წამი.

დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს წარმომადგენელს შუბის ტყორცნაში ნოდარ კორსანტიას, რომლის ნატყორცნი შუბი 63 მეტრსა და 52 სანტიმეტრზე დაეცა. ამ შედეგის გაუმჯობესება ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ შეძლო. გოგონებში 80 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ლიტველმა ლ. მასკოლიუნაიტემ — 11,6, 400 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ლატვიელმა ლ. გერიკამ — 57,4.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უკრაინის ნაკრებმა კოლექტივმა, მეორე ადგილი დაიკავა საქართველომ, მესამე — ლიტვამ.

ასეთია მოსწავ
სპარტაკი
გუნდურ

1. საქართველო
2. უკრაინა
3. მოსკოვი
4. ლენინგრადი
5. რსფსრ
6. „შრომითი რეზერვ
7. ლიტვა
8. ბელორუსია
9. ლატვია
10. ესტონეთი
11. გზათა მიმ. სამ.
12. აზერბაიჯანი
13. სომხეთი
14. უზბეკეთი
15. თურქმენეთი
16. ყირგიზეთი
17. ტაჯიკეთი
18. მოლდავეთი
19. ყაზახეთი

ს ურ ა თ ზ ე: ფიზკულტურისა და სპ
ადგილე ლ. დანილოვა გარდამავალ ჯ
ნისტრს გ. ჯიბლაძეს.

ჩვენი ზეიმი და ახალი ამოცანები

(დასასრული)

სპორტსმენთა ოსტატობის შეუფერხებელი ზრდა დიდადაა დამოკიდებული კეთილმოწყობილ სპორტბაზებზე. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სულ უფრო ფართო მასშტაბს ღებულობს სპორტული ბაზების მშენებლობა. მრავალი სპორტული ბაზა შეემატა ჩვენს დედაქალაქს — თბილისს. კასპში აშენდა შესანიშნავი საჭიდაო დარბაზი. საცურაო აუზები შენდება სოხუმში, სტალინირში, ქუთაისში, გორსა და ბორჯომში. საჭიდაო დარბაზებს მიიღებენ გორის, მცხეთისა და გარეუბნის სპორტსმენები. ჭიათურაში მწყობრში ჩადგა კალათბურთის შესანიშნავი სტადიონი. მიმდინარეობს სტადიონების მშენებლობა რუსთავში, თელავში, ჭიათურაში, ბორჯომში და ა. შ.

მაგრამ რაც უნდა დიდი წარმატებები გვქონდეს, კიდევ დიდი მუშაობის გაწევა გვმართებს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენი სპორტსაზოგადოებები და უწყებები ჯერ კიდევ სათანადო საქმიანობას არ ეწევიან ნამდვილი მასობრიობის მისაღწევად. ბევრი შეჯიბრება ტარდება დაბალ საორგანიზაციო დონეზე, მოიკოჭლებს სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, რის შედეგადაც ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კრივში, ფრენბურთში, ცხენოსნობაში, ველოსპორტში და სხვ. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრები, რომლებიც პასიურობას იჩენენ მძლეოსნობის განვითარებისადმი.

ჩვენი ჩამორჩენა სპორტის მთელ რიგ სახეობებში შემთხვევითი არაა. წლების განმავლობაში არ ხორციელდებოდა ღონისძიებანი მწვრთნელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩა წვრთნის მეთოდიკა, არ ხდება ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინება მასობრიობაზე დაყრდნობით და ა. შ.

რესპუბლიკის მთელ რიგ მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. იგივე შეიძლება ითქვას უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, აგრეთვე საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის შესახებაც, სადაც არ ექცევა ყურადღება ბაზების მშენებლობას, შეჯიბრებათა ხშირად მოწყობას.

წინაა დიდი მასშტაბის, უადრესად საპასუხისმგებლო ღონისძიება — საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა. ჩვენი ვალია კიდევ უფრო მეტი ენერგიით, მეტი მონდომებით ვიბრძოლოთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენთა წინაშე გრანდიოზული ამოცანებია დასახული — მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მივაღწიოთ ახალ წარმატებებს.

ჩვენ გაგვაჩნია მოწინავე სპორტული ტრადიციები. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ფიზკულტურელთა მრავალათასანი არმიის აქტიური მონაწილეობით უნდა მივაღწიოთ კიდევ უფრო მაღალ, მნიშვნელოვან წარმატებებს.

ლომელი

ფე-2 83. № 101 (1271)

გარაქაღა ჭაბუკებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ა V საკავშირო საერთო დეგები

— 87 ქულა
— 96 —„—
—120 —„—
—134 —„—
—143 —„—
—150 —„—
—180 —„—
—193 —„—
—200,5—„—
—216 —„—
—252 —„—
—256 —„—
—296 —„—
—320 —„—
—339 —„—
—347,5—„—
—350 —„—
—358 —„—
—363 —„—



...ავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მო-...ასცემს საქართველოს სსრ განათლების მი-



შეჯიბრებაში გამარჯვებულ წყალბურთელებს აღფრთოვანებული თბილისელები ისევ წყალში ისვრიან. ნახ. გ. იაშვილისა

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ

პირველ ორ დღეს განცდილი მარცხის შემდეგ თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა მოსკოველმა ჭაბუკებმა ტყვიით სროლაში და მჭიდროდ მიუახლოვდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში პირად პირველობაზე პირველ დღეს მოსკოველმა მოსწავლემ ა. გორდიუხინმა 600 შესაძლებლიდან 551 ქულა დაგროვა. მეორე ადგილზე იმყოფებოდა უკრაინელი ო. კრივოი — 545, ხოლო მესამეზე ბელორუსელი — ვ. ანოდენკო, რომელმაც 543 ქულის დაგროვება შეძლო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წინასწარი შედეგები, რადგან მონაწილეთა ნაწილი სროლას ამთავრებდა მეორე დღეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ ი. სოკოლოვს (მოსკოვი) ერთი ქულით უკეთესი შედეგი ეჩვენებინა, ვიდრე კრივოის და მეორე ადგილზე გამოვიდა, რითაც უკრაინელი სპორტსმენი აიძულა მესამე ადგილზე გადასულიყო. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა, ლენინგრადელებმა მოიპოვეს მეორე ადგილი, ხოლო მოსკოველებმა — მესამე. ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივი გამოვიდა მეშვიდე ადგილზე.

✦

მოგება ან ფრე

უკანასკნელი შეხვედრა წყალბურთში შედგა „შრომითი რეზერვებისა“ და საქართველოს გუნდებს შორის. „შრომითი რეზერვების“ წყალბურთელები მხოლოდ მოგების ან მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინარჩუნებდნენ მესამე საპრიზო ადგილს, ხოლო საქართველოს გუნდი წაგების შემთხვევაშიც თანაბარ ქულებს აგროვებდა მოსკოველებთან ერთად, მაგრამ შეჯიბრების დებულების თანახმად, პირველობის ბედს ბურთების შეფარდება წყვეტდა. აქ კი მოსკოვის გუნდს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს გუნდსაც მხოლოდ მოგება ან ფრე უწყობდა ხელს.

თამაში მაღალ ტემპებში დაიწყო და მატჩის ბოლომდე არ შენელებულა.

თამაში დასრულდა ფრედ, რომელმაც საქართველოს გუნდს მოუტანა სპარტაკიადის ჩემპიონობა.

მო მოქმედება შეცვალა ტემპიანმა, შეთანხმებულმა თამაშმა, გუნდის წევრები ახლა უკვე საკუთარ ძალებში ღრმად დარწმუნებულები, თავისუფლად მოქმედებდნენ ყველა ხაზში, მოპოვებულ ინიციატივას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უშვებდნენ ხელიდან. აზერბაიჯანთან მატჩში მოწინააღმდეგეებმა 5 პარტია ითამაშეს, სადაც გამარჯვება დარჩათ საქართველოს ფრენბურთელებს. უკანასკნელ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ რსფსრ-სა და ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივები.

შეხვედრა 3 პარტიით ამოიწურა, რადგან სტუმრებმა ვერც ერთი პარტია ვერ დამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ. ამ შეხვედრის მოგებით საქართველოს გუნდმა გაინაღდა მეოთხე ადგილი. ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ უკრაინელები, მეორე ადგილზეა „შრომითი რეზერვების“ კოლექტივი, რომელმაც მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო უკრაინასთან. მოსკოველი სპორტსმენები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

ჩვენ პირველები ვართ

როგორც ვიუწყებოდით, ტანვარჯიშში გოგონათა მიერ ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებას უნდა გამოერკვია, თუ ვინ იქნებოდა სპარტაკიადის ჩემპიონი — ი. პერვუშინა (გზათა მიმოსვლის სამინისტრო) თუ მ. ნინოშვილი (საქართველო).

ნინოშვილმა შესანიშნავად შეასრულა პროგრამის მეორე ნაწილი და 74,1 ქულით მეორედ გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი. მან დაიკავა აგრეთვე პირველი :დგილები ორძელზე (18,7 ქულა) და თავისუფალ ვარჯიშში (19,2 ქულა). ი. პერვუშინა საუკეთესო იყო ბჯენით ხტომებში (18,9 ქულა), ხოლო ლ. კუტაფინა (უკრაინა) — დვირზე ვარჯიშში (18,1 ქულა).

ჭაბუკთა შორის საერთო ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ვ. მალინიკი („შრომითი რეზერვები“) — 103,85 ქულა. საქართველოს გუნდის წევრი კ. ხოდიკიანი მას ჩამორჩა 0,55 ქულით.

ცალკეულ იარაღებზე ხოდიკიანმა ორ სახეობაში მოიპოვა ჩემპიონობა: ტაიჭზე (17,55 ქულა) და ღერძზე (18,25 ქულა). ვ. მალინიკმა მოიგო პირველობა თავისუფალ ვარჯიშში — 17,9 ქულა.

ბჯენით ხტომებში გაიმარჯვა ჯ. ყარაზანიშვილმა (გზათა მიმოსვლის სამინისტრო) — 18,3 ქულა. რგოლებზე — ვ. საველიევმა (მოსკოვი) — 17,4 ქულა, ხოლო ორძელზე — ა. ვინოგრადოვმა („შრ. რეზერვები“) — 18,05 ქულა.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ტანმოვარჯიშეები საუკეთესონი იყვნენ როგორც საერთო გუნდურ ჩათვლაში, ისე ცალკ-ცალკე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. სულ ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა მეორე ადგილზე გამოსული „შრომითი რეზერვების“ გუნდს გაასწრეს თითქმის 53 ქულით.

* * *

ნახატზე: მზია ნინოშვილი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს. მზიამ მიიღო მაღალი შეფასება. ჩემპიონობას ულოცავენ ამხანაგები.

ნახ. გ. იაშვილისა

ტემპი შეინარჩუნეს ბოლომდე

საქართველოს ფრენბურთელმა გოგონებმა წინასწარ თამაშებში აღებული ტემპი ფინალშიც შეინარჩუნეს. ლენინგრადთან გამარჯვების (3:0) შემდეგ ისინი შეხვდნენ მოსკოვის კოლექტივს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს ეს უკანასკნელი მატჩიც, დაამარცხეს მოსკოველი მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1 და წაუგებლად მოიპოვეს ჩემპიონობა.

მეორე ადგილის ბედი გადაწყდა ლიტვისა და უკრაინის გუნდების მატჩში. ლიტველებმა შეძლეს ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება და გაინაღდეს მეორე ადგილი.

უკანასკნელ ტურებში საკმაოდ შეთამაშდნენ საქართველოს ჭაბუკი ფრენბურთელები, საგრძნობლად იკლო შეცდომებმა, უსისტე-

აი, ასე, ბიჭებო!

ვართალია, საქართველოს ნორჩ ფეხბურთელებს ტურნირში არ წაუგიათ არც ერთი მატჩი, მაგრამ მაუურებლები სამართლიან საყვედურს გამოთქვამდნენ მათ მიმართ. უმაყოფილონი იყვნენ სპეციალისტებიც — ვერ იქნა და ვერ ითამაშა გუნდმა სრული ძალით. მოთამაშეები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, არ ჩანდა ნამდვილი კოლექტივი.

მაგრამ აი, დადგა გადამწყვეტი მატჩები და გუნდმა ისინი გაცილებით უკეთესად ჩაატარა. უაღრესად მძიმე იყო შეხვედრა აზერბაიჯანის მეტად ძლიერ ნაკრებთან. ჩვენმა ფეხბურთელებმა მთელი მონდომებით, ნამდვილი ჭაბუკური ენერგიით ითამაშეს და მოიგეს კიდეც მატჩი. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გელოვანიშვილმა და სირაძემ ორი გოლი გაიტანეს, ხოლო შესვენების შემდეგ ჩოგოვაძემ მესამე ბურთიც დაუმატა, რასაც აზერბაიჯანლებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს (კოსმანოვი). კვლავ კარგად და საამედოდ იცავდა კარს მეკარე ნიშნიანიძე.

ფინალში საქართველოს გუნდი შეხვდა უკრაინის ნაკრებს და აქაც მთელი მონდომებით თამაშობდა კოლექტივის ყოველი წევრი. ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით საყვედური გელოვანიშვილისა და დავითულიანის მიმართ. ახლა ორივე ეს ფეხბურთელი საუკეთესონი იყვნენ გუნდში და თუ ისინი მომავალშიც ასეთი ენერგიით და სარგებლით იმუშავებენ თავიანთი კოლექტივისათვის, ჩვენ უკან მიგვაქვს ადრე ნათქვამი საწყენი სიტყვები მათ მიმართ.

ანგარიში სწორედ დავითულიანმა გახსნა მეორე ტაიმში. შემდეგ უკრაინელთა კარში გავიდა მეორე ბურთიც და საქართველოს ფეხბურთელებმა მოიგეს ფინალი ანგარიშით 2:0. ისინი ღირსეულად გახდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები.

ახლა ჩვენ ესღა დაგვრჩენია ვთქვათ: აი, ასე, ბიჭებო!..

მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე გამარჯვებული საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

სურათზე: მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებული საქართველოს ფრენბურთელთა გუნდი.

ფეხბურთი. კალათბური

ქულების მოგროვება საჭიროა კარგი თამაშით

...ეს მოხდა მეორე ტაიმის მე-8 წუთზე. „ადმირალტეეცის“ მცველების შეცდომის შედეგად ბურთი მიიღო მელაშვილმა, რომელიც სრულიად მარტო, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევიდა საჯარიმო მოედანში. ასეთ პოზიციას ფორვარდი ნატვრით თუ ინატრებს, თორემ თამაშში ძნელად რომ მიიღოს: მელაშვილის წინაშე მხოლოდ მეკარე დუსმანოვი იყო დარჩენილი. კარში დარტყმა ჯერ კიდევ ადრე შეიძლებოდა, მაგრამ მელაშვილმა უფრო ახლოს მისვლა ამჯობინა, გაიარა რამდენიმე მეტრიც, დაარტყა და... მეკარეს პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი.

ეს ეპიზოდი ჩვენ აღვწერეთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელის უმწეობას კარში დარტყმებში. მელაშვილი მთელი თამაშის განმავლობაში პასიურობდა, იმალებოდა მოწინააღმდეგე მცველთა თავშეყრაში. იშვიათად, რომ მისმა გადაცემამ მიაღწიოს დანიშნულ მისამართს ან რამე სარგებლობა მისცეს გუნდს. და ესაა თავდასხმის ცენტრი, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს დინამოელთა შეტევითს ოპერაციებს!

მაგრამ მელაშვილი გამონაკლისს არ წარმოადგენდა ამ თამაშში. თბილისის „დინამომ“ ძალზე ცუდად, უფერულად ჩაატარა თამაში და გამარჯვება, რომელიც მან მოიპოვა, მხოლოდ იმას უნდა მიეწეროს, რომ მისი მოწინააღმდეგე — ლენინგრადის „ადმირალტეეცი“ კიდევ უფრო სუსტი გუნდია როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად.

მთელი მატჩის განმავლობაში მინდორზე მიმდინარეობდა „ა“ კლასისათვის შეუფერებელი, უთავბოლო ბურთის ტრიალი. ორივე გუნდის მოთამაშეთა შეცდომებს თვლა არა ჰქონდა, რაც ხშირად იწვევდა მაყურებელთა ირონიულ, სავსებით სამართლიან სიცილს ტრიბუნებიდან.

პირველი ბურთი გატანილ იქნა დალქიანის მიერ 57-ე წუთზე მესხის გარღვევის შემდეგ, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე სტუმრების მცველებმა და მეკარემ დაუშვეს უხეში შეცდომა, რომლის შედეგადაც ბარქაიამ ბურთი ბადეში გაგზავნა — 2 : 0.

ქულები, რა თქმა უნდა, მეტად საჭიროა თბილისის „დინამოსათვის“, მაგრამ გუნდმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ქულების მოპოვება საჭიროა კარგი თამაშით და არა მოწინააღმდეგის აშკარა სისუსტის წყალობით.

რ. ქორძე

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 21 აგვისტო.

„დინამო“ (თბილისი) — „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — 2 : 0 (0 :0).

„ადმირალტეეცი“: დუსმანოვი; კურზენერი, სავეიკო, დემიდოვი; მოროზოვი, ჩერნოივანოვი; გულინი, ტენიაგინი, ივანოვი, ვარლამოვი, ვასილიევი.

„დინამო“: ს. კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ა. კოტრიკაძე; ხუნდაძე, ღოლობერიძე; გაგნიძე (დალაქიანი), ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

ტურნირი პორტოროჟში

მეცხრე ტურში საბჭოთა ჩემპიონმა ტალმა კარო-კანის დაცვაში თავიდანვე შეუტია კანადელი ფიუშტერის მეფეს. მან გაანადგურა მოწინააღმდეგის მისადგომები და გაიმარჯვა. თითქმის ასეთივე გეზით წარმართა შეტევა ამერიკელმა ფიშერმა, რომელიც შავებით ეთამაშებოდა სანგინეტის. არგენტინელი უძლური აღმოჩნდა ფიშერის ფიგურების შემოსევისაგან და დამარცხდა. კორდოსომ გაიმარჯვა დეგრეიფთან. საბომ ღრმა მანევრებით დაასუსტა ფილიპის პოზიცია და მოუგო მას.

მწვავედ ვითარდებოდა პეტროსიან-ნეიკირხის შეხვედრა. პარტიაში იყო ისეთი მომენტი, როცა საბჭოთა გროსმაისტერს სამი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ ნეიკირხმა გაათანაბრა თამაში და მეტოქეები ყაიმზეც შეთანხმდნენ. ასევე მშვიდობიანად დაცილდნენ ერთმანეთს ლარსენ-ბრონშტეინი და პახმან-მატანოვიჩი. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

მეათე ტურში ლიდერებმა უფრო განიმტკიცეს წამყვანი მდგომარეობა. პეტროსიანმა მეთოდური ბრძოლით ძლია ფიუშტერს, ხოლო ტალმა ბრწყინვალე კომბინაციით მოუგო როსეტოს. კარგად ითამაშა გლიგორიჩმა, რომელმაც კუს შეწირვით 27-ე სვლაზე მოუგო დეგრეიფს.

საერთო აღიარებით ტურნირის ერთ-ერთი ულამაზესი პარტია ავერბახ-ლარსენისა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ ავერბახმა პოზიციური თამაშის დიდოსტატური გაგება გამოავლინა. ყოველი სვლის შემდეგ ლარსენის პოზიცია შეუმჩნევლად უარესდებოდა. დანიელ გროსმაისტერს ვერავითარმა კონტრთამაშმა ვერ უშველა და იგი დამარცხდა.

ბრონშტეინმა სანგინეტოსთან პარტიაში ვერ ააწყო თამაში, და მეცხრე ყაიმს შეურიგდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გათამაშდა გადადებული პარტიები და 10 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: პეტროსიანს აქვს 7,5 ქულა, ტალს — 7, ავერბახს, ბენკოსა და ოლაფსონს — 6 თვითეულს, ფიშერს, მატანოვიჩს და გლიგორიჩს — 5,5, ბრონშტეინს, პახმანსა და საბოს — 5 ქულა თვითეულს.

ᲙᲐᲠᲐᲗᲔ

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	17	12	4	1	46:20	28
ცსკ მო	18	8	7	3	35:20	23
„დინამო“ მ.	17	9	3	5	32:22	21
„ლოკომოტივი“	15	7	5	3	30:16	19
„შახტიორი“	16	8	3	5	17:18	19
„ზენიტი“	16	6	6	4	30:25	18
„ტორპედო“	17	4	8	5	38:35	16
„დინამო“ თბ.	17	6	2	9	28:47	14
„დინამო“ კ.	15	2	8	5	25:26	12
„მოლდოვა“	16	2	6	8	19:34	10
„კრ. სოვეტ“.	15	2	6	7	11:22	10
„ადმირალ.“	17	3	0	14	18:45	6

* * *

მოსკოვი. 21 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მოლოდოვა“ (კიშინიოვი). მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ — 4:2.

ლენინგრადი. 21 აგვისტო. ადგილობრივმა „ზენიტმა“ მიიღო მოსკოვის „ლოკომოტივი“. ლენინგრადელებმა განიცადეს დამარცხება დიდი ანგარიშით — 2:7.

მოსკოვი. 22 აგვისტო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“. თამაში მოიგეს დინამოელებმა — 3:2.

ᲙᲐᲠᲐᲗᲔ

თბილისი

სკვო (თბილისი) — „შახტიორი“ (შახტი)

მთელი მატჩი თბილისის არმიელებსა და „შახტიორს“ შორის მიმდინარეობდა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით. 30 წუთი გრძელდებოდა სტუმრების კარის შტურმი, მაგრამ ბურთი სისტემატურად ცდებოდა საბოლოო მიზანს და „არ სურდა“ გასულიყო კარში.

ბოლოს გორეშნევმა მოულოდნელი დარტყმით ძნელი მდგომარეობიდან გახსნა ანგარიში — 1:0. 33-ე წუთზე ორი მცველის კომბინაცია მეორე გოლით დამთავრდა: კვირკველიამ საჯარიმო დარტყმიდან მაღალი ბურთი ჩააწოდა კართან და ჭანკვალეიშვილმა თავით გაგზავნა იგი კარში — 2:0. ამ ანგარიშით სკვო-ს სასარგებლოდ დამთავრდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. არმიელები ისევ მოწინააღმდეგის ნახევარზე თამაშობდნენ და არ აძლევდნენ მას კონტრშეტევაზე გადმოსვლის საშუალებას. მე-15 წუთზე გათამაშებულ იქნა კომბინაცია ბენკალია-შვილი-მიქაძე-კურტანიძე, რომელიც დამთავრდა ამ ბოლოსანის ზუსტი დარტყმით — 3:0. მეორე ხანში ნორკაძემ — [illegible] — 4:0. [illegible]ან მეოთხე ბურთი გაიტანა, ხოლო 39-ე წუთზე გორეშნევმა ანგარიში 5:0-მდე აიყვანა.

მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო „შახტიორმა“ ერთი საპასუხო ბურთის გატანა საჯარიმო დარტყმიდან (ოტეპანკოვი) და მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 5:1.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

„ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — სკვო (როსტოვი)

ქუთაისი. (ტელეფონით). მატჩს ლიდერთა ჯგუფში მყოფი ამ ორი გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 2 ქულა — ამ მისწრაფებით გამოვიდნენ მინდორზე როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები.

21-ე წუთზე დათუნაშვილმა და სოლდიამ გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელიც დათუნაშვილმა გოლით დაამთავრა — 1:0. ამის შემდეგ ინიციატივა როსტოველთა მხარეს გადავიდა და მალე მოსალევმა გაათანაბრა ანგარიში—1:1, სტუმართა იერიშები კარგა ხანს გრძელდებოდა და მათი მარჯვენა გარემარბის ნორაკიძის გარღვევის შემდეგ გატანილ იქნა მეორე გოლი — 2:1.

ტაიმის დასასრულს ქუთაისელთა თავდამსხმელი კახიანი მცველებმა უხეშად წააქციეს კარის წინ და სორდიამ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 2:2.

დაძაბულ ბრძოლას მეორე ტაიმში შედეგი არ მოჰყოლია. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ლ. ფაჩუაშვილი

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘ

„ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

კრასნოდარი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ყუბანი“ (კრასნოდარი)— „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 4:2.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

სიყვარულის ნაყოფი

ფრანგი როგერ ჰორანდოტი კარგი ველოსიპედისტი გახდა... სიყვარულის გამო. იგი ყოველ დღე ოთხი წლის მანძილზე ველოსიპედით დაიარებოდა 130 კილომეტრზე... შეყვარებულთან ასეთმა იძულებითმა „წვრთნამ“ კარგი ნაყოფი გამოიღო — ჰორანდოტი ცნობილი ველოსიპედისტი გახდა და მის აქტივშია მრავალი გამარჯვება.

არაჩვეულებრივი მარათონი

ამერიკის შეერთებულ შტატებში რბენა გრძელ დისტანციებზე სპორტის პოპულარული სახეობა იყო, რომლითაც ამერიკელები ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ 1879-1889 წლებში. იმდროინდელ ექვსდღიან საერთაშორისო შეჯიბრებებში სტაიერები შეუსვენებლად დარბოდნენ 144 საათს. 1888 წელს ასეთ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ინგლისელი ლიტელვუდი, რომელმაც დაამყარა „მსოფლიო რეკორდი“. მან 1003 კილომეტრი გაირბინა 144 საათში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ „ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲐᲪ“

სანგრიდან გამოჩნდა ირმის სილუეტი, რომელიც სწრაფად მიეშურება მოპირდაპირე მხარისკენ. დაიგრიალა თოფმა. საბჭოთა სპორტსმენმა ი. ნიკიტინმა დაიმსახურა პირველი უმაღლესი შეფასება. ასე დაიწყო მსოფლიო პირველობის მორიგი დღე.

„გაქცეულ ირემზე“ შეჯიბრება აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ნაკრების ბრწყინვალე გამარჯვებით. გუნდმა ი. ნიკიტინის, ო. ზაკურენოვის, ვ. რომანენკოსა და ვ. ლუსბერგის შემადგენლობით 1.000 შესაძლებლიდან დააგროვა 900 ქულა და 33 ქულით გაუმჯობესა ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც დამყარებული იყო 1954 წელს საბჭოთა სპორტსმენთა მიერ. პირად პირველობაზე ი. ნიკიტინმა 10 ქულით გადაუსწრო ვ. რომანენკოს მსოფლიო რეკორდს (224 ქულა).

„შვეიცარიის თასზე“ შეჯიბრებაში (სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სამივე მდგომარეობაში) პირველი ვარჯიშის შემდეგ (წოლილა სროლა) წინ იყო ინგლისელი ოკლი — 396 ქულა. სამაგიეროდ ჩოქელა სროლაში გაიმარჯვა მ. ინიაზოვმა (საბჭოთა კავშირი) — 390 ქულა. გუნდურ ჩათვლაში წინ იყვნენ ინგლისელი და საბჭოთა სპორტსმენები. თასის ბედი ფაქტიურად მესამე მდგომარეობას — დგომელა სროლას უნდა გადაეწყვიტა. აქ უძლიერესი აღმოჩნდა საბჭოთა გუნდი. მ. იტკისმა 374 ქულა მოაგროვა, დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. მისი თანაგუნდელი შამბურკინი ჩამორჩა მხოლოდ ერთი ქულით. სამაგიეროდ, შამბურკინმა თავისებური რევანში აიღო სამივე მდგომარეობიდან სროლის ჯამში და 1.148 ქულით (ახალი საკავშირო რეკორდი) ოქროს მედლის მფლობელი გახდა. „შვეიცარიის თასი“ დარჩათ საბჭოთა სპორტსმენებს.

დასავლეთის სპორტსმენთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს „ინგლისური მატჩი“ — სროლა 50 და 100 მეტრზე წოლილა მდგომარეობიდან. კარაკასში გამართულ წინა მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებული გამოვიდნენ აშშ-ს წარმომადგენლები, ახლა კი ისინი საბჭოთა კავშირის, ფინეთისა და ინგლისის გუნდებმა აიძულეს მეოთხე ადგილით დაკმაყოფილებულიყვნენ. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მოაგროვა 2333 ქულა და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ფინელმა მ. ნორდკვისტმა — 593 ქულა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმარ თი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის 3—89—62, მდივნისა და განყოფილებების 3—90—34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03784